წელიწადი 2-რე № 17

ხუთშაბათი 20 ივნისი 1918 წ.

რედაქტორი
კატო მიქელაძე

გამომცემელი
ინტერპარტიული ქალთა ლიგა.

# ხმა ქართველი ქალისა

რედაქციისაგან.
კანტორა ღიაა დილის 9 საათ. 3 საათამდე' სად. 5 ს.—8 საათამდე. ავტორის მიერ ხელმოუწერელ წერილებს რედაქცია არ დაბეჭდავს. რედაქციის მისამართი ქ. ქუთაისი პუშკინის ქ. № 12 სახლი ქეიშვილისა შესასვლელი ჭიშკრიდან ეზოში

ფასი 25 კ. ყოველ კვირეული საპოლიტიკო სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი ფასი 25 კ.

## თანასწორობა სქესთა წინაშე კანონისა!

### ქართველ ქალებს.

თვითოეულ ერს, თვითოეულ ხალხს უკავია დედა-მიწის ზურგზე განსაზღვრული სივრცე, განსაზღვრული მანძილი, განსაზღვრული ალაგი, ანუ ტერიტორია.

რაკი ერი იბადება, ვითარდება, საზრდოობს და მრავალდება ერთ ტერიტორიაზე, ამის გამო იგი თავისთავად იმსჭვალება ამ ტერიტორიისადმი ისეთივე ბუნებრივი, სათუთი და ცხოველი მიზიდულობით, როგორითაც გამსჭვალულია ხოლმე ყოველი მოსიყვარულე შვილი მშობელი დედ-მამისადმი.

შეგნებული ადამიანისათვის სამშობლო და მშობელი ერთიმეორის ფარდი, ერთიმეორის მაგიერი და სწორი ცნებაა. წესიერათ განვითარებულს, ე. ი. ცალმხრიობას, სიდუხჭირეს და სიმახინჯეს აცილებული ადამიანის გულში იმოდენივე ალაგი აქვს დათმობილი სამშობლოს, რამოდენიც მშობლების სიყვარულსა და პატივისცემას, მშობლების კეთილდღეობისათვის ზრუნვასა და მათი ღირსების დაცვას.

ჩვენ, — ქართველები, — არასოდეს არ ვყოფილვართ ეულები, უბინადრონი, საკუთარ სამშობლოს მოკლებულნი. ჩვენი სამშობლო ყოფილა და არის ის დედა-მიწის პატარა ნაწილი, რომელიც ოქროს ხატივით ასვენია შავსა და კასპის ზღვებს შუა და თვალ-მარგალიტებიან ჩარჩოთ გარს შემორტყმია ბუმბერაზი კავკასიონის ქედი.

სიკეთე ჩვენი სამშობლოსი: —იშვიათი მოხდენილობა და სიკეკლუცე მისი გარეგნობისა, სისადე და უებრობა მისი ჰაერისა, საოცნებო სიმდიდრე და უხვი მომცემლობა მისი ნიადაგისა, —იზიდავდა ამ ქვეყნისაკენ ყველა მესაზღვრე ერებს და უღვიძებდა მათ გაუნელებელ სურვილს, რომ ხელში ჩაეგდოთ იგი.

ამიტომ პაწია საქართველოს ხანგრძლივი წარსულის მეტი ნაწილი წარმოადგენს ყოველ მხრიდან მოსეულ მტერთან განუწყვეტელ ბრძოლას და თუ უკანასკნელთ დაელიათ ტყვია და თოფის წამალი, თუ მათ მოუდუნდათ და დაუჩლუნგდათ ხმალხანჯალი, თუ მტრებმა მარტო კალთები ჩამოაცალეს ჩვენს სამშობლოს და დაპყრობა მისი მაინც ვერ შესძლეს, თუ ამ შეუწყვეტელი ხმლის ტრიალში და გამუდმებულ თოფის სროლაში გართული ქართველი არ გაველურდა გონებითა და გრძნობით, თუ, მიუხედავათ სამძიმო პირობებისა, ქართველმა არამც თუ დაივიწყა წიგნი და მწერლობა, პირიქით, მოახერხა საკუთარი კულტურის შექმნა, და სისრულის უმაღლეს წერტილამდე აიყვანა ენა და მწიგნობრობა, ამით უნდა ვუმადლოდეთ ქართველ ქალებს.

არსად, არც ერთ ერშიდ ისე გავრცელებული არ ყოფილა ქალისადმი პატივისცემა და სიყვარული, როგორც ჩვენში, საქართველოში. ისტორიას რომ თავი დავანებოთ თვით უბრალო სიტყვებიც კი დაამტკიცებენ ზემოხსენებულ აზრს. აეიღოთ მაგალითად სიტყვები: „დედ-მამა“, „და ძმა“, „ცოლ-ქმარი“, „ქალ-ვაჟი“ და სხვა მრავალი. ყველგან პირველ ადგილზედ ქალი არის დაყენებული. საუკეთესო მოწამენათ ქრისტიანობისათვის ჩვენში შუშანიკ და ქეთევან ითვლებიან. ოქროს ხანათ მიაჩნიათ ქართველებს ის ხანა, როდესაც თამარი მეფობდა. და თუ საქართველო დღეს კიდევ არ აღგვილა პირისაგან ამა ქვეყნისა, ეს მხოლოდ იმ დედებს უნდა მივაწეროთ, რომელთა შვილნი თავგამოდებით იცავდენ სამშობლოს თავისუფლებას; რომელთა ტკბილი ნანა ბავშობიდანვე უნერგავდა საქართველოს შვილებს თავის ხალხისა და ერის სიყვარულს...

მაგრამ დაჰბერა ისტორიის ულმობელმა ტალღამ და ჩვენს სამშობლოსაც უბედურობა ეწვია. რუსეთთან შეერთებით გადაწყდა საქართველოს ბედიც და ის თავისუფლება, რომლისთვისაც რამოდენიმე ათასი საუკუნე იბრძოდენ ქართველები, ჩაესვენა შავს სამარეში.

თუ გსურს, რომ რომელიმე ერი, ხალხი დაიმონო, თუ გსურს წაართვა მას ძალა არსებობისა, და მოუსპო შეგნება თვით შემეცნებისა, უნდა ეცადო, რომ ქალი გააფუჭსავატო, ჩაჰკლა მასში ყოველივე სიყვარული და პატივისცემა სამშობლოსადმი და თუ ეს შესძელი იმედი გქონდეს, რომ სულ მალე მიაღწევ შენს საწადელს. ჩვენშიაც ასე მოხდა. უპირველესად ყოვლისა ქალმა მიიღო და შეითვისა რუსის გამათახსირებელი პოლიტიკა. მშვენიერი „ნანა“ „баюшки баю-ზე“ შესცვალა და „დედის“ მაგიერ „მამოჩკა“ გვესმოდა. ამ იდეაზედ აღზრდილი შვილები თავისთავად ცხადია ვერ შესძლებდენ შეესრულებიათ ის, რაც მამა-პაპათაგან ჰქონდათ ნაანდერძევი და მიჰყვენ თავის ბედს.

ას-ჩვიდმეტი წლის მონობამ ძირიანად ამოგლიჯა ჩვენი გულის ფიცრიდან ის ჭეშმარიტი გრძნობა, რომელსაც სამშობლოსადმი სიყვარული ეწოდება. მაგრამ ის იმედი, რომელიც ჰყვაოდა ქართველის გულში, გაიფურჩქნა და დღეს კვლავ ვიხილეთ თავისუფლება. თუ ქალმა ხელი შეუწყო ჩვენი ერის გადაგვარებას ისევ ქალმა უნდა აღადგინოს იგი, იმ დროს, როდესაც ქალი სრული ადამიანური და მოქალაქობრივი უფლებით იქნება შემოსილი საქართველოში. ჩვენმა დედებმა და დებმა უნდა განამტკიცონ და ხელიდან არ გაუშვან სისხლით მონაპოვი თავისუფლება.

ამისათვის საჭიროა უპირველესად ყოვლისა უფლებათა თანასწორობა. შეუძლებელია იმ ერმა, იმ ხალხმა შეინარჩუნოს თავისუფლება, სადაც არ არის სქესთა უფლებრივი თანასწორობა. მხოლოდ იმ ხალხს შეუძლია ჩაერიოს თავისუფლების ფერხულში, სადაც არ არსებობს არავითარი მონობა, ჩაგვრა და დამცირება. რას წარმოადგენდა დღემდის ქალი? — ყოველივე უფლება მოკლებულ არსებას. მას შემდეგ, რა რომ მატრიარქალური ხანა შეიცვალა პატრიარქალურად და მამაკაცებმა ძალით ჩაიგდეს ხელში უფლება, ქალი, როგორც ასეთი, გარდაიქცა მამაკაცის სრულ საკუთრებათ. ეს უკანასკნელიც მას უყურებდა, როგორც ვნებათა ღელვის დამამშვიდებელ საგანს და საკმარისი იყო, რომ ქალს აღარ დაეკმაყოფილებია მისი მხეცური ინსტიქტი რომ მას გარედ გამოაგდებდენ, როგორც უვარგის ჩვარსა. განვლო დრომ და ქალი თან და თან იგნებდა თავის მდგომარეობას. ბევრი გამოჩენილი პირი იბრძოდა ქალთა უფლების გასაუმჯობესებლად, ბევრი ზეგარდმომადლით მონიჭებული ნიჭი გაიძახოდა და მოუხმობდა მსოფლიოს თანასწორობისაკენ, მაგრამ ხმა მათი დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა... მათ შორის ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში დიდებული ქართველი გაიძახოდა: „ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს თუნდა ხვადია“ო, ეხლა მეოცე საუკუნეში კი როდესაც ყველას პირზედ აკერია „ძმობა-ერთობა-თავისუფლება“, როდესაც თავ-გამოდებით ქადაგებენ მიწის სოციალიზაციას, საერთაშორისო ძმობა-ერთობას და ათას სხვას, გარდა ერთიორი პიროვნებისა, ხმას არავინ იღებს ქალთა სწორუფლიანობაზე. მაშ, ვინ უნდა იზრუნოს თქვენთვის, თუ არა თქვენ, ასულნო საქართველოისავ?!

თუ რუსეთის გამათახსირებელმა პოლიტიკამ ჩაჰკლა თქვენში უნარი ბრძოლისა, დე ეხლა, ამ ჟამსა თავისუფლებისას გაიღვიძოს თქვენში ძველ დედათა მიმალულმა ძლიერმა სულმა და მთელი თქვენის ძალ-ღონით, მთელის თქვენის სულიერი მისწრაფებით და გულის ჰანგებით შეჰღაღადეთ თავისუფალ ქვეყანას: „ჩვენც ადამიანები ვართ და უნდა მოგვეცეს ის უფლება, რითაც ყოველი თქვენგანი სარგებლობს“-თქო. და იქნებ დღევანდელმა დამახინჯებულმა ქართველურმა სულმა იგრძნოს თავის შეცდომა და განამტკიცოს პრინციპი თავისუფლებისა და სწორუფლიანობისა თავის ქვეყანაში. დიადი მომავალი მოგიწოდებთ ქართველ ქალებს დიადი მოვალეობისადმი, რომლისათვის საჭიროა სიფხიზლე, სიფხიზლე და კიდევ სიფხიზლე.

---

## ევა.

დაბურული ოქროს თმითა
იდგა ევა სხივოსანი,
ფრინველების გალობასა,
ყურს უგდებდა, ვით მგოსანი.

მოხიბლული ედემითა,
ის შესცქეროდა სივრცეს ცისას;
და სცდილობდა ამოეცნობას,
ამ მსოფლიოს დასაწყისსას.

ერთს დღეს თვალი მიმოავლო,
მშვენიერსა ერთსა ხილსა,
საიდანაც გადმოსცქეროდა,
ორი თვალი ზურმუხტისა.

და მოესმა: — გსურს იცოდე,
სიდან გაჩნდა ყველა ესა?
— ჰაა, სჭამე ეგე ხილი,
და გაიგებ ყველაფერსა!

უქმათ ყოფნით მოწყენილი,
შენატროდა შრომას, ცოდნას,
აზროვნების სავარჯიშოთ,
არ შეუკრთა ქალი ცოდვას!

და გულში სთქვა: დე გამდევნონ,
გამირისხდეს თუნდაც ღმერთი,
ოღონდ ავხსნა ამოცანა.
ცა და მიწის შემაერთი!

ცოდნის ხიდან დედაკაცმა
რა მოსწყვიტა ერთი ხილი,
მყისვე ადამს მიაწოდა
და შეიქნა განდევნილი.

თუმც მამაკაცს ხის ნამყოფი,
მოეჩვენა სიბრძნის კონათ,
მაგრამ ნაცვლად მადლობისა
გაიხადა ქალი მონათ!.

ნინო ტყეშელაშვილი.

## ჩემი ცხოვრება.

(წერილები სუფრაჟისტკისა).

გარდა ამისა, ისეც მინდა აღვნიშნო, რომ მომხრე მილიტანტიზმისა გავხდი მომეტებულ წილათ უფრო თანაგრძნობით, რადგან პირადათ არ განმიცდია არავითარი დამცირება და გაჭირვება, რომელნიც ბევრს ქალსა და ვაჟს აგრძნობინებს ხოლმე არსებულ სოციალურ უსამართლოებას. თუმცა ჩემი ბავშობის დღენი ბედნიერათ მიდიოდენ და ჩვენს ოჯახშიდაც ერთმაერთ შორის სიყვარული იყო გამეფებული, მაგრამ მაშინაც კი უკმაყოფილოთა ვგრძნობდი ჩემს თავს.

ვხედავდი, რომ ჩემი და ჩემი დის მდგომარეობა ჩემს ძმებთან შედარებით ერთი არ იყო ჩვენს ოჯახში. იმ დროს, როდესაც მამა ჩემი დიდის ყურადღებით ეპყრობოდა ჩემი ძმების აღზრდა-განვითარებას, ჩემსა და ჩემი დის აღზრდას ძალიან გულცივათ უცქერდა. უფრო ნათლათ დავრწმუნდით ამაში მაშინ, როდესაც ჩემი მშობლები, ჩვეულებისამებრ, შემოვიდენ ძილის წინ ჩვენთან-ბავშვების ოთახში, რომ დაეხედათ ჩვენთვის. მამა დაიღუნა ჩემსკენ, შემომხედა და მწუხარებით წარმოსთქვა: „რა სამწუხაროა, რომ ეს ბიჭი არ არის!“

ამის გაგონებაზე კინალამ არ წამოვხტი და განვუცხადე, რომ მე სრულიათაც არ მსურდა, ბიჭობა. მაგრამ მე აღარ ავყევი პირველ გულისთქმას, დავწექი ისევ წყნარათ, თუმცა დიდს ხანს ვფიქრობდი მამიჩემის ასეთს შენიშვნაზე.

მე მივდიოდი იმ დასკვნამდე, რომ ვაჟები ქალებზედ უფრო მაღლა აყენებენ თავიანთ თავს, და ქალები კი ამას ურიგდებიან. ასეთს შეხედულობას ვერ ვუფარდებდი იმ ფაქტს, რომ მამაც და დედაც მომხრენი იყვნენ საარჩევნო ხმის უფლების გავრცელებისა ქალებზე. მე ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, როდესაც გამოვიდა (ბილი*) 1866 წლ. რეფორმის შესახებ, მაგრამ მე ძალიან კარგათ მახსოვს აგიტაცია, რომელიც მას მოჰყვა. ეს კანონპროექტი წარმოადგენდა პირველს ნაბიჯს რეფორმისაკენ ინგლისში 1832 წლის შემდეგ, რომელიც მოითხოვდა საარჩევნო ხმის გავრცელების უფლებას უფრო ფართო მასსაზე. ეს ბილი ანიჭებდა ხმის უფლებას ყველა მოიჯარადრეებსა და მდგმურებს, რომელნიც კი იხდიდენ თვეში არა ნაკლებ 10 გირ. სტერლინგს. ბილის გარჩევის დროს თემთა პალატაში ჯონ-სტუარტმილმა შეიტანა შესწორება, რომელიც მოითხოვდა ხმის უფლების გავრცელებას მოიჯარადრე ქალებზედაც. შესწორება არ მიიღეს, მაგრამ კანონში ჩვეულებრივი გამოთქმის მაგიერ „პირნი მამაკაცთა სქესისა“ შეიცვალა სიტყვა „პირათ“. მეორე პარლამენტის კანონი, რომელიც უფრო ადრე გამოსული იყო, ამტკიცებდა, რომ სიტყვა „პირის“ ქვეშ ქალებიც ნაგულისხმევი უნდა ყოფილიყო, თუ რომ მათზედ სპეციალური შენიშვნა არ იქნებოდა. ამის მიხედვით ბევრ ქალებს ეგონა, რომ მათ არჩევნების დროს ხმის უფლება ეძლეოდათ. ამ შემთხვევამ გამოიწვია დიდი სჯა-ბაასი და რომ დარწმუნებულიყვნენ მასში რასაც ფიქრობდენ, ქალებმა მოითხოვეს შეტანილი ყოფილიყვნენ სიაში. მანჩესტერში საერთო 4215 ქალების საარჩევნო რიცხვიდან, რომელთაც ჰქონდა დადგენილი ცენზის უფლება 3924 წარუდგინეს ეს მოთხოვნილება; მათ მიმართეს სასამართლოს, სადაც მათ საქმეს იცავდენ გამოჩენილი იურისტები და მათ რიცხვში ჩემი მომავალი ქმარი დოქტორი პანკხერსტი რასაკვირველია მსაჯულებმა უყურადღებოთ დასტოვეს მოთხოვნილება ქალებისა, და ამ კომპანიამ გამოიწვია ძლიერი აგიტაცია მთელს მხარეში ქალებზე საარჩევნო ხმის უფლების გავრცელების სასარგებლოთ.

მე 14 წლისა ვიყავი, როდესაც დავესწარი ქალთა ხმის უფლების მომხრეების მიტინგს.

და გამოვბრუნდი მიტინგიდან შეგნებულ სუფრაჟისტკათ.

მე 70 წლებში მანჩესტერი იყო ერთი ცენტრთაგან ქალთა მოძრაობისა, რომელსაც მეთაურობდა ჯგუფი გამოჩენილ დედაკაცებისა და მამაკაცებისა. ხელმძღვანელი კომიტეტის წევრთა რიცხვშიდ იყო დ-რი რიჩარდ პანკხერსტი, რომლის ცოლობა მარგუნა ბედმა მომავალში.

როდესაც 15 წლის შევიქენი, მე გამგზავნეს პარიზში ერთ ერთს უპირველეს სასწავლებელში ევროპაში ქალთა უმაღლესი სწავლის შესაძენათ. აქ მე დავმეგობრდი? ... 

*) კანონ-პროექტი.

## თეთრი მონა.

სირცხვილი მე 20-ცე საუკუნისა.

5.

როცა ის გონს მოვიდა და თვალები გაალო მან თავის თავი წითელ ოთახში სადაფის ფორმის პერლამუტრის ლოგინზე მწოლარე დაინახა.. ოდნავ განძრევა მას გამოუთქმელ ტკივილებს გვრიდა. თავი ეწოდა, ყელი წყურვილისაგან უხმებოდა და არსად წვეთი წყალი არა ჩნდა. აგრე იწვა ის უძილოთ ტკივილებით და წყურვილით ტანჯული მეორე დღემდე. გათენდა, შვა დღემ მოაწია, საათი საათს მოსდევდა, ალმა თითქო გონება დაკარგული განუწყვეტლად იმეორებდა: „დედა!“ „მამა!.“

არავინ არა ჩნდა, ერთი უბრალო ხმაც კი არ ისმოდა გარედან.

— რასთვის არ დავრჩი შენთან, ჩემო ძვირფასო, საყვარელო ჭკვიანო დედავ!

ჩემო ჭკვიანო დედიკო, რომელიც არასოდეს არ სცდებოდი!

აგრე მფოდავდა ის სევდაში და განწირულებაში. დალამებისას ის იმგვარად დაუძლურებული იყო აუტანელი ტკივილებით, შიმშილით და წყურვილით და კიდევ უფრო აუტანელი ზნეობრივი ტანჯვით, რომ ხელის გაქნევაც კი არ შეეძლო და აი კიდეც მოხდა ის რაც გუშინ საღამოს ოთახები უცებ განათდა, კარები გაიღო... სევდით და განწირულებით გაიხედა მან კარებისაკენ, მაგრამ არც დამახება სიშველად და არც თავის დაცვა არ შეეძლო. კარებთან იდგა მისტერ კორკი გუშინდელი ბელატი ვაჟბატონთან ერთად.

— შეიძლია იმედი მქონდეს, რომ ის დღეს კეთილ გონიერი იქნება?

— ჰო, ამის იმედი ჰქონდესთ, მისი სიჯიუტე ეხლა სრულიად მოტეხილია! — გთხოვთ შეხვიდეთ! სრული რწმუნებით წარმოსთქვა კორკმა. ჯალათმა გაალო კარი და შეუშვა მგელი ბატკანთან...

ნაშუადამევს გადასული იყო. ალმა იწვა მარტო. მას არ სძინავდა: მთელი სხეული ტკივილებით ეწოდა, მაგრამ უაღრესი ზნეობრივი შეურაცყოფა, რომელიც მიაყენეს მის სხეულსა და სულს ფიზიკურ ტკივილებს აყუჩებდა. ის შეშლილივით ეხვეწებოდა და კითხულობდა: „რასთვის, რასთვის?“ რა ჩაუდენია მას თავის ცხოვრებაში, რითი გაარისხა ღმერთი? და ვაუ ღმერთი ყოვლად კეთილი და მოწყალეა, როგორათაც ის მას ყოველთვის წარმოიდგენდა თავის ლოცვებში, ნუ თუ მას შეეძლო ასეთნაირად მისი დამცირება.

კარი ხელახლა გაიღო, შემოვიდა მოსამსახურე ფოდნოსით ხელში და მასთან მისტერ კორკი.

— აი თქვენი ვახშამი დაჯექით და სჭამეთ! უბრძანა მან.

ალმა ადგილიდან არ ინძრეოდა. მაშინ მან წაავლო მას ხელი ბეჭებში და ძალით დააჯინა, აიღო ფოდნოსიდან კვერცხიანი ბულიონი და კითხა:

ინებებდა ის თავის ხელით ჭამას თუ არა? წინაამდეგ შემთხვევაში დაემუქრა, რომ ჩაუდებდა რიზინას პირში და ძალით აჭმევდა. ამ სიტყვებთან მან ამოიღო ჯიბიდან მოვერცხლილი ტრუბკა და აჩვენა. ალმა მიხვდა, რომ წინააღმდეგობა უგნურობა იქნებოდა და დაიწყო ჭამა. მოსამსახურე გოგომ გასჭრა წიწილი და ჯალათმა დაუწყო მას კვება როგორც ავათმყოფ ბავშს. როცა ორი დღის უჭმელობის შემდეგ ივახშმა მას ხელახლა იმედი დაებადა.

— გევედრებით გამიშვათ სახლში!

— გიჟური სურვილი, — წაიბუტბუტა მან, — ნუ ლაპარაკობთ, სჭამეთ!

— მე არ მსურს აქ დარჩენა ერთი საათითაც!

— ამ სახლში მეფობს მხოლოდ ჩემი ნება, — უპასუხა მან დამშვიდებულად.

— თქვენ მე მომატყუეთ, თქვენ წარმომიდგინეთ თქვენი თავი გრაფინია დეპინას მდივნათ, ვისთანაც მე მასწავლებლათ მივდიოდი.

— ეს მე არ მახსოვს და არც მსურს ვიცოდე. გაფრთხილებთ, რომ ასეთს სიტყვებს აქ ადგილი არა აქვს.

— ალმამ დაინახა, რომ ამ კაცის გულს არც ცრემლი და არც ვედრება არ მოალბობდა. გაათავა თუ არა ჭამა ალმამ, კორკმა აავსო დიდი ჭიქა პორტერით და მისცა. მთელი დღის მოწყურებულმა ის ერთბაშათ გამოსწურა.

— გამიგონეთ და კარგათ დაიმახსოვრეთ ის, რასაც გეტყვით. ყოველთვის როცა თქვენ წინააღმდეგობას, ანუ უყურადღებობას გაუწევთ ჩემს კლიენტებს და ამით ზიანს მიაყენებთ ჩემს დაწესებულებას, თქვენ სარდაფში იქნებით და მიიღებთ იმ პორციას, რაც გუშინ მოგაყენეთ. ეს არის ჩემი მეტოდი ჩემი პანსიონერების გასაწრთვნელად. და თუ რომ წინაამდეგ თქვენ სიამით შეასრულებთ ჩემი სტუმრების მოთხოვნილებას ყოველთვის დასაჩუქრებული იქნებით. თქვენ მიიღებთ ლამაზ კაბებს, გემრიელ საჭმელებს, ძვირფას ღვინოს. ერთი სიტყვით ისე

59 ეროვნული ბიბლიოთეკა

..თა მოძრაობაში მონაწილე..ის მიღებით მე დავუახლო..ი ღ-რი პანკჰერსტს რომელიც გაუწყვეტლივ მუშაობდა ქალების ..ლიტიკური უფლებებით აღჭურ..სათვის და 1879 წელს გავხდი მი..ი მეუღლე. ჩემი ქორმიანი ცხოვრე..ა გაგრძელდა 15 ბედნიერი წელი. ..ე ხშირად გამიგონია ხოლმე და..კინვა მაზე რომ სუფრაჟისტკებათ ..დებიან მხოლოდ ისეთი ქალები, ..ომელთაც არ შეუძლიათ მოა..ყონ თავიანთი პირადი და ოჯახური ცხოვრება. ვისაც თა..ის გრძნობებისათვის გამოსავალი ..ერ უპოვნია. ეს ბრალდება არ შეეფერება არც ერთ სუფრაჟისტკას ..ა მით უმეტეს მე. ჩემი ოჯახური ..ხოვრება მოეწყო თითქმის იდეა..ლურათ, რომელიც კი სასურველია ..მ მოუწყობელ ქვეყანაზე. გათხოვე..ბის შემდეგ მეყოლა ქალიშვილი ..რისტაბელი, წლი-ნახევრის შემდეგ ..ორე ქალიშვილი სილვია. და მათ ..მდეგ კიდევ ორი ბავში. რამოდე..მე წლის განმავლობაში თითქმის ..ლი ჩემი დრო ოჯახურ მოვალე..ას უნდებოდა. მაგრამ შვილებსა ..ა ოჯახურ კერას ისე არასოდეს ..რ ჩაუძირივარ, რომ დამკარგოდა ..ტერესი საზოგადო მოღვაწე..ბისადმი. ჩემს ქმარს სრულიადაც არ ..ღდა, რომ მე გადავქცეულიყავი ..აფელზე არ დაინტერესებულ დი..ასახლისად და ოჯახის დედად. ის ..რმათ იყო დარწმუნებული, რომ ..ალების სამსახური და მოღვაწეობა ..ჯახზე ნაკლებ არ ესაჭიროება საზოგადოებას. ჯერ კიდევ ჩემი ბავ..შები პატარები იყვნენ, როდესაც ..ე ვითვლებოდი წევრად „ქალთა ..ართხევნო უფლების საზოგადოების“ ..ლმასრულებელი კომიტეტისა და ..ასთან ერთად წევრად კომიტეტის ..იუროსი, რომელიც დაარსდა გათხოვილ ქალთა ქონებრივ უფლების ბილლის სასარგებლოთ აგიტაციის გასაწევად. როდესაც უკანასკნელი კანონათ გამოცხადდა, მე ახალის ენერგიით შევუდექი აგიტაციას ქალთა საარჩევნო უფლების სასარგებლოთ, ამ დროს ირჩეოდა ახალი საარჩევნო რეფორმა (უფლების გავრცელება სამეურნეო მუშებზედ), და ჩვენ ვფიქრობდით, რომ რამოდენიმე წლის ჩვენმა პროპაგანდამ მოამზადა მხარე, ჩვენთვის მხარის დასაჭერად, რათა კანონ-პროექტში შესწორება შეეტანათ ქალთა საარჩევნო უფლების სასარგებლოთ და მართლაც თემთა პალატაში უმრავლესობა ჩვენს მხარეზე იყო. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავდა ჩვენი მიზნის მიხწევას, პარტიული ჟინიანობა ხშირათ ავალებს ლიდერებს, რომ მოითხოვონ თავიანთ მომხრეებისაგან ხმის მიცემა წინაღმდეგ საკუთარი რწმენისა. ამ შემთხვევაშიაცასე მოხდა. გლადსტონი, ეს შეურიგებელი მტერი ქალთა სწორუფლიანობისა, წინ—აღუდგა ჩვენს შესწორებას და მოითხოვა ლიბერალებისაგან მის წინაღმდეგ ხმის მიცემა. გლადსტონი ფიქრობდა ქალების მონაწილეობის მიღება პოლიტიკურ ცხოვრებაში უნდა ყოფილიყო შეზღუდული არსებული მამაკაცების პარტიების დახმარებაში.

ერთი უცბიერესი და მუხანათური მოქმედება გლადსტონისა იყო ის, რომ მან შეიტანა განხეთქილება ქალთა მოძრაობაში. მან თვით ჩაუყარა სარძიკველი ქალთა ლიბერალურ კავშირს. 1881 წელს ბრისტოლში აღმოცენებული ასეთი კავშირები თანდათან მოეფინა მთელს მხარეს. 1887 წ. ისინი შეერთენ ერთს კავშირად, რომელსაც სახელად ეწოდებოდა ქალთა ეროვნული ლიბერალური ფედერაცია! ამ კავშირის დაარსებისას მისი დამფუძნებელი ქალები იმედოვნებდენ, რომ ქალები დაეხმარებიან რა მამაკაცებს პოლიტიკურ მოღვაწეობაში მალე თვით მიიღებენ პოლიტიკურ უფლებას.

„ქალთა ლიბერალური ფედერაცია წარმოადგენდა ორგანიზაციას ქალებისას, რონელნიც თანაუგრძნობდენ პროგრამასა და პრინციპს ლიბერალური პარტიისას, მაშინ როდესაც ამავე ქალების როლში გამოდიოდა კონსერვატიული პარტიის მომხრე ქალების ლიგა. რომელიც პირველზე წინა ხანებში არსებობდა. ორთავე ეს ორგანიზაციები თავის მიზნათ როდი ისახავდენ ქალთა საარჩევნო უფლებისათვის და მათი კანდიტატების არჩევნებში მხარის დაჭერის. მე არ მიტაცებდა ის იმედები, რომლითაც გამსჭვალული იყვნენ მონაწილენი ფედერაციისა; უკანასკნელნი ეძლეოდენ მოღვაწეობას ლიბერალური პარტიის სასარგებლოთ.

ცოტა ქალები დარჩა ერთგული ძველი დროშისა. და ხელ ახლა შეუდგენ პრაპაგანდას. არც ერთს მათგანს არ დაბადებია კითხვა რასთვის და როგორ მოიპოვეს საარჩევნო უფლება სამეურნეო მუშებმა. მათ ეგ უფლება მოიპოვეს მთელი გროვა თივის ზვინების დაწვით, ამბოხებით და სხვა დემონსტრაციებით, რომელშიაც დაანახეს ქვეყანას თავიანთი ძალა; ინგლისის პოლიტიკურ მოღვაწეებს სხვა ენა არ ესმით. მუქარამ ასი ათასი სულისაგან შემდგარი ბრბოს დანძრევისამ თემთა პალტისაკენ თავისი საქმე ქნა სამეურნეო მუშების ხმის უფლების საკითხის გარდაწყვეტის დროს. არც ერთ სუფრაჟისტკას არ მიუქცევია ამისათვის ჯეროვანი ყურადღება. რაც შემეხება მე, იმ დროს პოლიტიკურად ერთობ უმწიფარი ვიყავ და არც მქონდა შეთვისებული სიბრძნე თუ როგორ უნდა გამოგვეთხრიშა უფლება ინგლისის მთავრობის ხელიდან. ჩემთვის კიდევ საჭირო იყო მუშაობა საზოგადო ასპარეზზე. გამეცნო საქმე მთავრობის სკოლებისა, მუშათა სახლებისა, და სხვა საქველმოქმედო დაწესებულებებისა. მე მჭიროდა როგორც რიგი და წესი მოითხოვდა გადამეხედა ყველა იმ მწუხარებისა და სიღატაკისათვის, რომლითაც ეგრე ირჩევა მამაკაცების მიერ შექმნილი მსოფლიო ცხოვრება. მხოლოდ ამ გზით შემეძლო მივსულიყავ აღშფოთებამდე წინაღმდეგ ამ მსოფლიოსა.

(შემდეგი იქნება).

## სახალხო მასწავლებელთა კავშირის სხდომის ოქმი.

დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირის ქუთაისის განყოფილების გამგეობამ რვა ივნისის სხდომაზე რომელსაც დაესწრო შვიდი წევრი, მოისმინა რა ქუთაისის სახალხო მასწავლებლების მოხალისეთა რაზმის წევრის, დამსახურებული მასწავლებლის გიორგი წივწივაძის მოხსენება ხუთ ივნისს ქ. ხონის კომისრის ჭავჭანიძის მიერ იმისი უდანაშაულოდ დაპატიმრებისა და თავისუფალი მოქალაქის უფლებების შელახვის შესახებ და დაადგინა:

**ხონის კომისარს** გამგეობის სახელით გამოუცხადოს საჯაროთ უმადურობა, უკმაყოფილება და უკიდურესი საყვედური ისეთი ველური საქციელისა და უხეში ძალით მოქმედებისათვის, რომელთაც დღეს ად-

..ოგექცევიან როგორც შთამომავლო..ით ჰერცოგინიას, ამასთან ლამე ..შვილობის!

..პასუხის მიუღებლად გავიდა ის ..თახიდან.

..ტიპსი აგრე ეძახდენ მოსამსახურე ..ალს შემობრუნდა და მოიტანა ერ..ი შუშა თეთრი ჭქონიანი სითხე, ..ომლითაც დაუწყო საბრალო ქალი..კილს ტანის ზელა. ალმამ დაუწყო ..ერწნა მას, რომ დახმარებოდა იგი ..წყეულთა ბუდიდან გამოსაყვა..თ.

— მე გავაკეთებ ყოველფერს ..ქვენთვის მხოლოდა ამას ვერა, ..ადგან ეს მისი მხრით ღალატი იქ..ბოდა მისტერ კორკისა და მისი ..ლისა, რომლებმაც მას, ამდონი ..თე უყვეს. და არც შეიძლება, ..ხაზეინები კარგათ ექცეოდენ იმ ..იშვილებს, რომლებიც თავის ყო..ქცევით მათ საქმეს უფუჭებს, მი..ა ტიპსიმ.

— საქმეს?—დაეკითხა ალმა, რო..ისაც ვერ გაეგო თუ რა უნდოდა ..ი ეთქვა ტიპსის.

— ჰო, ეს რომ ჩემმა დედმამამ ..იდეს!.. განა თქვენ არ გყავთ ..ბლები, დები, რომ უარს მეუ..ბით შველაზე ჩემს მწუხარება-

— მე არას ოდეს არ ვიცნობდი არც მამას და არც დედას. მე დავიბადე სოფლის ქუჩაში. ჩემი დედა იქვე მოკვდა და მე სიბრალულით ერთმა ბებერმა ძონძების ვაჭარმა ქალმა ამიყვანა. მან დამარქვა სახელადა თავისი მკვდარი კატის სახელი ტიპსი. ვიზრდებოდი ბინძურ ქოხში, ვიკვებოდი პურის კანებით და არაყით, ვიწევი ძონძების გროვაზე, რომელსაც ის აგროვებდა ბინძური თხრილებიდან. როცა 12 წელი შემისრულდა ჩემმა ნათლიამ გადასწყვიტა, რომ დროა გადამეხადა მისთვის ჩემზე ზრუნვა. ჩვენ სოფლის ახლოს რკინის გზა გაყავდათ და ერთხელ ღამით მან მისცა ჩემი თავი გზის მუშებს. როცა 14 წლისა გავხდი მან გამყიდა მანჩესტერში ერთს მიკიტანთან. ჩემს გარდა სამიკიტნოში იყვნენ კიდევ 6 ქალიშვილი ჩემივე ხნისა. ჩვენ დაგვირიგეს კარგი ტანისამოსი და საჭმელიც.

ჩვენი საქმე იყო, რომ მივჯდომოდით გვერდში სამიკიტნოს სტუმრებს—ფაბრიკის მუშებს და მეზღვაურებს გაგვერთო ისინი, დაგვესხა მათთვის ლუდი, რომ ჩვენც მივეპატიჟებინეთ. თუ ჩვენ შევიტყუებდით, რომელიმე მათგანს პატარა ოთახში, ჩვენ ვღებულობდით 2 პროცენტს იქედან, რასაც ჩვენთვის ხაზაინს სტუმარი მისცემდა. ამაში მდგომარეობდა მთელი ჩვენი ჯილდო. მაგრამ იმ ცხოვრებასთან შედარებით, რომელშიაც მე აღვიზარდე ეს სამოთხე იყო. მე არ მცემდენ და არც მლანძღავდენ. როცა 17 წლისა გავხდი ერთი ესპანელ მეზღვაურის სენი გადამედვა. მთელი ჩემი სხეული მუწუკებით დაიფარა და მე გავჩნდი ჰოსპიტალში. ერთს ოთახში ჩემთან ერთად კიდევ 50 ქალი იწვა იმავე სნეულებით ავათ—მყოფნი, როგორც მე. სხვათაშორის იქ გავიცანი დისწული მისტერ კორკისა. მან მიამბო, რომ ლონდონში არის აქციონერული კომპანია, რომელსაც მრავალი სახლები უჭირავს და რომ მისი ბიძა არის წარმომადგენელი ერთი უბრწყინვალესი სახლისა. მე ვთხოვე მას ეშოვნა ჩემთვის ამ ოჯახში ადგილი, მან ჩემი თხოვნა შემისრულა და ვიპოვნე ბედნიერება მთელი ჩემი სიცოცხლისათვის როცა ჩემი ბავშობა და ყმაწვილობა მომაგონდება ეხლანდელი ჩემი მდგომარეობა სიზრმათ და ზღაპრად მეჩვენება. ტიპსიმ გაათავა თავის მუშაობა წასცხო მალამო ალმას აფუთქულს ტანს, დააწვინა იგი ლოგინში და გავიდა. ალმას უმოძრაოთ ჩაეძინა,

— დავიწყებ თავის მოგერებას, დავიწყებ ბრძოლას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე—გადასწყვიტა მან, როგორც კი გაალო თვალები მეორე დილას. აქაც შეიძლება შემოვიდეს რიგიანი ადამიანი, რომელიც დამეხმარება მე ამ უბედურობაში. მაგრამ საჭიროა ფრთხილად მოქმედება—სთქვა მან თავის გულში.

როცა ტიპსიმ შემოუტანა მას საუზმე, მან სთხოვა რომ შემოეტანათ მისი ზანდუკი. მოსამსახურემ უპასუხა, რომ ზანდუკი სარდაფშია ჩაშვებული და ტანისამოს ის მიიღებს ხაზაინებიდან, ალმას პასუხზე, რომ ზანდუკში გარდა კაბებისა სხვა საჭირო ნივთებიც არის, მაგალითად საწერი, ტიპსიმ უპასუხა რომ ამ ოჯახში არავინ არაფერსა სწერს და პანსიონერკებს აკრძალული აქვთ ყოველგვარი მიწერ მოწერა.

(შემდეგი იქნება)

გილი არ უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკაში, ამასთანავე ეს შემთხვევა დღესვე დეპეშით ეცნობოს სახალხო განათლებისა, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრებს.

კავშირის გამგეობის თავმჯდომარე
ვლ. ნაცვლიშვილი.

მდივანი ამქ. ლორთქიფანიძე.

საქართველოს მთავრობის მინისტრებს გაეგზავნათ შემდეგი შინაარსის დეპეში:

„თბილისი სახალხო განათლების მინისტრს, ასლი იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრებს.

დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირის ქუთაისის განყოფილების გამგეობა გამოსთქვამს რა თავის გულის წყრომისა და მწუხარებას ქუთაისის სახალხო მასწავლებელთა რაზმის წევრის, დამსახურებული მასწავლებლის გიორგი წივწივაძის ხუთ ივნისს ქ. ხონში ქალაქის კომისრის ჭავჭანიძის მიერ მისი უდანაშაულოთ დაპატიმრების შესახებ, გთხოვს მოახდინოთ სასწრაფო განკარგულება, რათა ყოველმხრივი გამოძიებით აღდგენილ იქმნას უკანონოდ დასჯილი თავისუფალი მოქალაქის უფლებები; ამასთანავე გამგეობა შუამდგომლობს, რომ გამოცემულ იქნას საზოგადო განკარგულება მასწავლებელთა პიროვნების დაცვის შესახებ.“

გამგეობის თავმჯდომარე
ვლ ნაცვლიშვილი.

P. S. გამგეობა თხოვს ქუთაისისა და თბილის ქართული გაზეთების ყველა რედაქციებს სახალხო მასწავლებელთა საყურადღებოთ გადიბეჭდონ, როგორც ოქმი, ისე დეპეში.

ვ. ნ.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

### გერმანელთა სამხედრო კომისიის განმარტება

ადგილობრივ გერმანელთა გაზეთში „კავკაზიშე პოსტ“-ში დაბეჭდილია შემდეგი „სიმართლის აღდგენა“:

გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ 10 ივნისის № ში ნათქვამია, რომ რკინისგზის კომისიაში ნემცები მონაწილეობას არ იღებენ და ამიტომ ქართველებს შეძლება არ აქვთ ოსმალეთის ჯარებს ხელი შეუშალონ საქართველოს რკინის გზის სადგურები დაიკავონ და სოფლებს მოედონ.

ეს არ არის მართალი. საქართველოს მთავრობის თხოვნით გერმანიამ აღუთქვა საქართველოს დახმარება ყველა მტრების წინაალმდეგ.

საქართველოს რკინის გზებით ჯარების გატარება მინდობილი აქვს საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით გერმანელთა სამხედრო კომისიას თფილისში.

# ახალი ამბავი

✖ ჩვენი გაზეთის მკითხველთა საყურადღებოთ.

სხვა და სხვა მიზეზისა გამო ჩვენი გაზეთის გამოსვლა ორი თვით შეჩერებული იქნება.

✖ წვრილ მოხელეთა კავშირმა თავის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა სთხოვოს ქუთაისის გუბერნიის შრომის კომისარს, რომ იმ წვრილ მოხელეებს, რომელიც დაწესებულებაში შტატების შემცირების გამო დათხოვნილ იქმნენ, ახლად გახსნილ დაწესებულებებში მიეცესთ უპირატესობა და ადგილებზე პირველად ისინი იქმნენ მიღებული.

✖ ლტოლვილნი ზესტაფონში. შორაპნის მაზრის კომისარი ქუთაისის მაზრის კომისარს ატყობინებს, რომ ზესტაფონში ამ ჟამად იმყოფება 1000-ზე მეტი ლტოლვილი მათ არ გააჩნიათ სადგომი და უსურსათობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდიან განნდა სახადი, რაც ყოველ დღიურად სიცოცხლეს ასალმებს 1—2 კაცს.

რომ შორაპანში ხოლერა არ გაჩნდეს საჭიროა ჩემს განკარგულებაში გადასდვათ საკმაო თანხა ლტოლვილთათვის სურსათის შესაძენად და ბარაკის მოსაწყობათ.

✖ მიწად მოქმედების მინისტრი ქუთაისიდან თბილისში გაემგზავრა.

✖ ქურდობა. ივნისის 17 ღამით ივანოვის ქუჩაზე ბოროტ გაზრახველებმა გატეხეს სამხარძის ფეხსაცმელების მაღაზია. საიდანაც წაიღეს ფეხსაცმელები და სხვა ნივთები.

✖ სათვინასნსნო სამინისტროში. ქუთაისში ქალაქის თვითმართველობა გამოუგზავნა 500,000 მანეთი.

## ეკონომიური ხელშეკრულობა

### საქ. რესპუბლიკის თერგის ოლქთან

1918 წელი, 7 ივნისი, ქ. კავკავი, თერგის ოლქი. საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, ვასილ იოსების ძე არდიშვილმა და ბიკტორ ვასილის ძე თევზაიმ ერთის მხრით, თერგის ოლქის სახალხო კომისართა საბჭოს სასურსათო საქმეთა კომისარმა იოსებ ისიდორეს ძე ელერდოვმა—მეორეს მხრით, დავდეთ შემდეგი ხელშეკრულობა:

1) თერგის ოლქიდან საქართველოს რესპუბლიკაში პურის გაგზავნას საფუძვლათ უნდა დაედვას საქონლის გაცვლა-გამოცვლის პრინციპი. საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლები გზავნიან სასურსათო საქმეთა კომისარიატის განკარგულებაში შემდეგ საქონელს: ა) 30 ვაგონ შაქარს; ბ) მედიკამენტებს; გ) თვეში ერთი მილიონი მან. ღირებული თამბაქოს ნედლ მასალას ან გადამუშავებულს; გ) თხილს და დამხმარ ხილეულობას.

თავის მხრით თერგის ოლქის სასურსათო საქმეთა კომისარიატი უგზავნის საქართველოს რესპუბლიკას შაქარის მაგივრათ სიმინდს. საქართველოს რესპუბლიკის მიერ გამოგზავნილ თითო ვაგონ შაქარში სასურსათო საქმეთა კომისარიატი იძლევა 15 ვაგონ სიმინდს. დანარჩენ საქონელში სიმინდს იძლევიან იმდენს, რამდენიც ღირს საქართველოს რესპუბლიკის მიერ გაგზავნილი საქონელი.

თამბაქოდან გაკეთებულ საგნებს საქართველოს რესპუბლიკა გზავნის ბანდეროლზე აღნიშნულ ფასებში სადგურ ყაზბეგამდე გადასატანი საჭირო ხარჯების დამატებით, მედიკამენტებს კი სავაჭრო სამრეწველოს მინისტრის მიერ უკანასკნელათ შემუშავებულ ფასებში.

დანარჩენი საქონელი უნდა გატანილ იქნას სადგ. ყაზბეგში იმ ფასში, რამდენიც ეს საქონელი ღირს.

საქართველოს რესპუბლიკა დაუყონებლივ უგზავნის ოლქს 5 ვაგონ შაქარს და მედიკამენტებს, თერგის ოლქის სასურსათო საქმეთა კომისარიატი თავისი მხრით დაუყონებლივ უგზავნის საქართველოს რესპუბლიკას სიმინდსა და სიმინდის ფქვილს, რომელიც დამზადებულია ყოფილ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის წარმომადგენელის მიერ.

ყველა საქონელი, რომელიც გამოივლის თერგის ოლქში საქართველოს რესპუბლიკისათვის, უნდა დაუბრკოლებლათ გამოიგზავნოს ბაჟის დაუდებლათ.

საქართველოს რესპუბლიკა ერთი კვირის განმავლობაში უსწორებს ანგარიშს თერგის ოლქის სასურსათო საქმეთა კომისარიატს და ყველა მთავრობის და საზოგადო დაწესებულებებს, ამასთანავე სასურსათო საქმეთა კომისარიატს უნდა მიეცეს ტომრებისთვის ფე.

საქართველოს რესპუბლიკა ვალდებულია დაფქვას კავკავში ყოველი თვის განმავლობაში არა ნაკლებ 60 ვაგონის და არა უმეტეს 90 ვაგონი სიმინდისა, რომელიც დანიშნული იქნება თერგის ოლქიდან გასატანად.

როგორც თერგის ოლქის, ისე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ყოველ ღონეს იღებენ, რათა დაუბრკოლებლივ გატარებულ იქნას ამ ხელშეკრულობის თანახმად მთავრობის მისამართით გაგზავნილი საქონელი. ხელს აწერენ:

საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლები ვასილ იოსების ძე არდიშვილი და ბიკტორ ვასილის ძე თევზაია.

თერგის სახალხო კომისართა მინდობილობით, თერგის ოლქის სასურსათო საქმეთა კომისარი ი. ელერდოვი.

## ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ ეს ანგარიში „ფინჯანი ჩაის“ მოათავსეთ პატივცემულ გაზეთის „ხმა ქართველი ქალისა“ უახლოეს ნუმერში.

ქ. სამტრედიის ქალთა ინტერპარტიული ორგანიზაციის გამგეობის მდივანი ვ. მელქაძე.

„ფინჯანი ჩაი“. გამართული სამტრედიის ინტერპარტიული ქალთა ორგანიზაციის მიერ, საქართველოს მეომართა სასარგებლოდ.

ქ. სამტრედიის ინტერპარტიულ ქალთა ორგანიზაციის გამგეობამ სამი დღით, 2—4 ივნისამდე ქართველ მეომართა სასარგებლოდ გამართა „ფინჯანი ჩაი“ ქალაქის და რკინის გზის საკრებულო დარბაზში.

### შემოსავალი:

შემოსავალი ბილეთებიდან — -- — 1369 მან.
ბუფეტიდან - - 2417 მან. 50 კაპ.
ყვავილებიდან 661 — 50 —
სხვა და სხვა გასართობებიდან — — 457 — 90 —
საჯარო ვაჭრობიდან — — -- — 1366 — — 35
ლოტარეიადან 162 — — — —

### ფულათ შემოწირულება

1. კოტე კასრაძემ შემოსწირა — — 30 მან.
2. ელისო კალანდაძემ — - — 20 მან.
3. კლიმენტი გელეიშვილმა — 26 მან.
4. აკაკი კალაძემ 33 მან. 40 კაპ.

კასაში მეტი აღმოჩნდა — -- — 12 მან 61 კაპ

სრული შემოსავალი: - - — 6556 მან. 26 კაპ.
გასავალი: — 1110 მან 80 კაპ.
წმინდა მოგება 5445 მან 46 კაპ.,

რომელიც 8 ივნის ფოსტის ხარჯების გამოკლებით გაეგზავნა სამხედრო სამინისტროს.

„ფინჯანი ჩაის“, გარდა ქალთა ორგანიზაციის წევრებმა შემოსწირა:

1. სიმონ სპირდონისძე ქართველიშვილმა 1. გირ ჩაი.
2. ვალიკო ხარებავამ 300 ფურ[...] ლი „ლეტუჩკა“.
3. დიმიტრი სტეფანიდმა 1 ფუ[...] ნახშირი.
4. ქ-ნი წერეთლისამ ტკბილეულ[...] ბა, ნაქარგი ბალიშის პირი, წიგნ[...] ბი და ბევრი სხვა და სხვა ნივთე[...] ლოტარეისათვის
5. ქ-ნი ერინმა ტკბილეულობა.

მწვანე ბაზარზე შევკრიბეთ რამო[...] დენიმე გირვანქა ყველი ხილი დ[...] კვერცხი.

სამტრედიის ინტერპარტიული ქალთა ორგანიზაციის გამგეობა მადლობას უძღვნის ყველა იმ პირთ, რომელთაც დახმარება აღმოუჩინა მას „ფინჯანი ჩაის“ მოწყობაში ფულის, ტკბილეულობის თუ ხილის შემოწირულებით; მაგიდების, ჭურჭლეულობი[...] ნათხოვრობით თუ პირადი გარჯი[...] განსაკუთრებულ მადლობის ღირს[...] ქ-ნი მ. წერეთლისა, რომელიც მთე[...] ლი სამი დღის განმავლობაში ენერგიულად ეწეოდა შრომას, რათა პ[...] რნათლად შეესრულებია „ფინჯან[...] ჩაის“ გამგის მოვალეობა. თავ[...] შრომას და უხვი შემოწირულება[...] ისიც დაუმატა ქ-ნ წერეთლისამ, რო[...] ზოგიერთი მისი დაკარგული თუ გა[...] ტეხილი ნივთების ანაზღაურება არ[...] ისურვა.

ქალთა ორგანიზაციის გამგეობ[...] ულრმეს მადლობას უძღვნის აგრე[...] თვე ქ. სამტრედიის საკრებულო და[...] რბაზის მამასახლისთა საბჭოს ერთი[...] დღით დარბაზის განათებით და პრო[...] ჟეკტორის ლენტის ნათხოვრობი[...] სათვის; დეპოს უფროს მაისურო[...] რკინის გზის საკრებულო დარბაზ[...] სამი დღით განათებით უსასყიდლო[...] დათმობისათვის და დეპოს მემუს[...] კეებს პირველი დღეს უფასოთ დ[...] კვრისათვის.

დასასრულს ქალთა ორგანიზაცი[...] გამგეობა მადლობა[...] უძღვნის ქ. სა[...] მტრედიის საზოგადოების იმ ნა[...] წილს, რომელმაც არ[...] დაიზარა პ[...] რადათ მობრძანება და თავის წვლ[...] ლის გაღება საქართველოს მეომა[...] თა სასარგებლოდ.

ქ. სამტრედიის ქალთა ინტერპარტიული ორგანიზაციის გამგეობა.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელოვისა.